(2010)

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის <u>რეზოლუცია</u> **მეზობელ და მოსაზღვრე ტერიტორიებზე ეროვნული შეიარაღებული ძალების გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე**

ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას ხელი შეუწყოს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განვითარებას ეუთოს ნორმებთან, პრინციპებთან და ვალდებულებებთან შესაბამისობაში, უსაფრთხო და სტაბილური საზოგადოების მშენებლობისათვის ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე,

ხაზს უსვამს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ძალის არ-გამოყენების შესახებ გაერთიანებული ერების ქარტიისა და ჰელსინკის დასკვნითი აქტის ფუნდამენტური პრინციპების განუხრელი დაცვის მნიშვნელობას,

ადასტურებს რა საერთაშორისო ნორმებისა და პრინციების, მათ შორის საზღვარგარეთ სამხედრო ძალის გამოყენების პრინციპის პატივისცემის და შესრულების აუცილებლობას,

აღიარებს, რომ გადაუჭრელი შიდა კონფლიქტები კვლავ არსებობს, და მსგავსმა კონფლიქტებმა, სადაც უნდა ჰქონდეთ მათ ადგილი, შესაძლოა საფრთხე შეუქმნან მეზობელი ქვეყნებისა და რეგიონების უსაფრთხოებას,

მტიკცედ სჯერა რა, რომ მონაწილე სახელმწიფოებს არ უნდა შეეძლოთ სამხედრო ძალის გამოყენება გაერთიანებული ერების ქარტიასთან შეუსაბამოდ,

უარყოფს "გამყოფი ხაზების" ან "პრივილეგირებული ინტერესების სფეროების" კონცეფციებს ეუთოს წევრ ქვეყნებს შორის,

ხაზს უსვამს რა, რომ სამხედრო ძალის უკანონო და არათანაზომიერ გამოყენებას ქვეყნის საზღვრებს გარეთ შეიძლება ჰქონდეს გაუთვალისწინებელი მადესტაბილიზირებელი შედეგები მთლიანად ეუთოს სივრცეში მშვიდობასა და სტაბილურობაზე,

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა:

გამოხატავს ღრმა წუხილს ცალმხრივად განსაზღვრული ეროვნული ინტერესების, სამხედრო ძალის და საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეთა დაცვის საბაბით სამხედრო ძალის გამოყენების დაკანონების მიზნით საერთაშორისო თანამეგობრობის შესაფერისი მონაწილეობის გარეშე ეროვნული იურიდიული აქტების მიღების მცდელობასთან დაკავშირებით,

შეშფოთებულია ეროვნულ დონეზე ამგვარად დაკანონებული მოქმედებების მეშვეობით აგრესიის აქტების განხორციელების შესაძლებლობით, განსაკუთრებით მეზობელი სახელმწიფოების მიმართ,

გმობს გეგმებს მეზობელი და მოსაზღვრე სახელმწიფოების ტერიტორიაზე ეროვნული სამხედრო ძალების გამოყენების თაობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების, კონსულტაციების და მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების მიერ უზრუნველყოფილი სამშვიდობო ზომების გამოყენების ნაცვლად,

მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს დაიცვან გაერთიანებული ერების ქარტიისა და ჰელსინკის 1975 წლის საბოლოო აქტით გათვალისწინებული ნორმები და პრინციპები,

მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გადახედონ ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც უკავშირდება ძალის გამოყენებას, მათ შორის: სამხედრო დოქტრინებს, თავდაცვის შესახებ კანონებს და ა.შ. მოახდინონ გარკვეული ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა, რათა თავიდან აიცილონ უკანონო ძალის გამოყენება მეზობელი და მოსაზღვრე სახელმწიფოების ტერიტორიებზე.

ოსლო. **2010 წლის 6-10 ივლისი.**

(http://oscepa.org/images/stories/documents/activities/საკუთარი თარგმანი)